ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში
(აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში)
სახელმწიფო რწმუნებულის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 143
09/08/2019

143-01-4-201908091303

სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^3 მუხლის შესაბამისად და ,,სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე–5 მუხლის ,,ფ“ პუნქტის, მე–6 და მე-7 მუხლების საფუძველზე:

1. სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის გადანაწილდეს უფლება-მოვალეობები, განისაზღვროს საქმიანობის წესი და დელეგირების საფუძველზე, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებას მიკუთვნებული დარგების მიხედვით დაეკისროთ კურატორობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში - სამსახურები) მიხედვით:

ა) **სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე - დავით ფარცვანია:**
ა.ა) სახელმწიფო რწმუნებულის არყოფნისას კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
ა.ბ) დელეგირების საფუძველზე ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას და მონიტორინგს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებებს;
ა.გ) დელეგირების საფუძველზე ხელს აწერს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სახელით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გასაფორმებელ ხელშეკრულებებს, აგრეთვე ხელშეკრულებებს,

რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება და სხვადასხვა ფინანსურ და სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

ბ) **სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე - დავით ვერავა:**
ბ.ა) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის საქმიანობას;
ბ.ბ) დელეგირების საფუძველზე ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულებას.

გ) **სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე - ნინო ვიბლიანი:**
გ.ა) კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას;
გ.ბ) დელეგირების საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;
გ.დ) დელეგირების საფუძველზე ხელს აწერს მერქნული რესურსის გამოყოფის თაობაზე შუამდგომლობას (,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-14 პუნქტისა და 46^3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას (ხანძარი, სტიქიური უბედურება ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები) I ხარისხის ხის მერქნული რესურსის (სოციალური ჭრა) მოცულობის განსაზღვრისა და ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით შესაბამისი სიის მართვის ორგანოსათვის (სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო) წარდგენა).

დ) **სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე - ლუდუკი ხასია:**
დ.ა) კოორდინაციას უწევს რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის საქმიანობას;
დ.ბ) დელეგირების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დავალებით, კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ,,ბ.ა", ,,გ.ა" და ,,დ.ა" ქვეპუნქტებში მითითებული სამსახურების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის შემდგომი ან/და ხელახალი განხილვისთვის დავალებების გადაცემა (კორესპონდენციის გადაცემა/ხელახალი გადამისამართება შესაბამისი რეზოლუციით) აპარატისთვის ხორციელდება სამსახურების კურატორი მოადგილეების მეშვეობით.

3. დაევალოთ სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, ამ განკარგულებით მათთვის მიკუთვნებული სამსახურების საქმიანობაზე უშუალო ზედამხედველობა და ამ სამსახურების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულის დავალებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი.

4. სახელმწიფო რწმუნებულის აპარატმა (ლ. წულაია) უზრუნველყოს ამ განკარგულების სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებისთვის გაცნობა.

5. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

6. ამ განკარგულების მიღების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის 2019 წლის 21 თებერვლის №7 განკარგულება.

7. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

ალექსანდრე მოწერელია

სახელმწიფო რწუნებული

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია